

ტრავმული სტრესორები, ადაპტაციის სირთულეები და გამკლავების გზები
დამხმარე პროფესიების წარმომადგენლებში COVID-19 პანდემიის დროს -
ონლაინ კვლევა

ნათია ჯინჭარაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მახაშვილი, ასოცირებული პროფესორი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნათია ჯინჭარაძე

10.07.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს COVID-19 პანდემიის გავლენის და მასთან დაკავშირებული ტრავმული სტრესორების, ადაპტაციის სირთულეებისა და გამკლავების გზების შესწავლა დამხმარე პროფესიების წარმომადგენლებში (ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტების - ფსიქოლოგების, სოციალური მუშაკების, ფსიქიატრები, ოკუპაციური თერაპევტები, სხვა დამხმარე სპეციალისტებისა და სამედიცინო პერსონალის - ექიმების, ექთნების) საქართველოში.

კვლევას აქტუალობას ანიჭებს ისტორიული კონტექსტი, ასევე ფაქტი, რომ სოციალური დისტანცირებისა და თვითიზოლაციის აუცილებლობის პირობებში „ახალი რეალობის“ გავლენები ჯერჯერობით ნაკლებად გამოკვლეული ფენომენია გლობალური მასშტაბით, ხოლო კონკრეტულად, დამხმარე პროფესიის წარმომადგენლების სეგმენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის კვლევა მაღალი მნიშვნელობისაა, რადგან ეს ჯგუფი ერთ-ერთია, რომელიც პანდემიასთან და მის შედეგებთან ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება და ამ დატვირთვას უნდა გაუძლოს.

ონლაინ-კითხვარი მოიცავდა COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული სტრესორების, ადაპტაციის აშლილობისა და დამლევის სტრატეგიების შესაფასებელ სკალებს და დაეფუძნა შემდეგ ინსტრუმენტებს:

- COVID- related Stressors (self-constructed) – Lotzin & Schaffer, 2020, Hamburg-Eppendorf
- Self-report for assessing adjustment disorder – ADNIM 20 (Maerker, 2018)
- გამკლავების კითხვარი - Adapted from Mini Coppe instrument (Carver, 1989)

კითხვარი, საქართველოს მასშტაბით, გაეგზავნა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამედიცინო დაწესებულებებს რომელთაგან 167 მონაწილის მიერ შევსებული მონაცემები ჩაითვალა კვლევისათვის ვალიდურად.

კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ რესპონდენტებისათვის განსაკუთრებით მძიმედ აღიქმება შემდეგი სტრესორები: კორონავირუსით საყვარელი ადამიანების

დაინფიცირების/გარდაცვალების შიში/საფრთხე (ჯამში რესპონდენტთა 80%-ზე მეტი) და კორონა ვირუსის პანდემიის ხანგრძლივობისა და რისკების შესახებ არსებული გაურკვევლობა (76%), სტრესორთა ყველაზე დიდი ტვირთის მქონე ქვეჯგუფი კი არის შეზღუდულ სოციალურ კონტაქტებთან დაკავშირებული სტრესორები.

კვლევის რესპონდენტთა 83%-ს გამოუვლინდა ადაპტაციის აშლილობის მაღალი რისკი, აღნიშნული მაჩვენებელი კორელაციაშია ძილის დარღვევებთან, კერძოდ, უძილობა ან ზედმეტი ძილიანობა აწუხებს ადაპტაციის აშლილობის მაღალი რისკი მქონე კვლევის მონაწილეთა 55%-ს. ჰიპოთეტური ვარაუდი იმის შესახებ, რომ ადაპტაციის აშლილობის მაღალი რისკის უფრო მაღალი პრევალენტობა ვლინდება სამედიცინო პერსონალში, ვიდრე ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებში არ დამტკიცდა. რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს მედპერსონალის შერჩევის მცირე რიცხვით.

დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ დამხმარე პროფესიების წარმომადგენლები უფრო ხშირად დაძლევის „პოზიტიურ“ (ფსიქიკური ჯანმრთელობის უკეთეს რეზულტატთან/გამოსავალთან დაკავშირებულ) სტრატეგიებს იყენებენ.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სტრესი, ადაპტაცია, დაძლევა, COVID-19, დამხმარე პროფესია, პანდემია, პანდემიასთან დაკავშირებული სტრესორები, ადაპტაციის დარღვევა, დაძლევის სტრატეგიები, ფსიქიკური ჯანმრთელობა

Abstract

The present study aimed at examining the traumatic stressors related to the current COVID-19 pandemic and its psychological impact, specifically, adjustment difficulties and coping strategies in Georgian health care workers (mental and physical health care professionals: psychologists, psychiatrists, occupational therapists, social workers, doctors, nurses etc.). The historical context makes this study especially relevant, along with the fact that under the conditions of the necessity of social distancing and self-isolation the impact of the 'new reality' is not studied well enough on a global scale. It is particularly important to study mental health of health care workers as this is one of the groups on the frontline of combating the current pandemic and having to deal with its demands and impact. Online forms of Adjustment Disorder New Module-20 Questionnaire (Maeerker, 2018), COPE inventory short version Adapted from Mini Cope instrument (Carver, 1989), and COVID-related Stressors (Lotzin & Schaffer, 2020) scales were sent to different Georgian governmental and non-governmental organizations members out of which 167 participants self-administered the self-report scales.

The threat of infecting or losing their loved ones with the novel coronavirus (indicated by more than 80%) and uncertainty about the length of COVID-19 pandemic and risks associated with it (76%) were identified as the most pronounced stressors for the participants. The greatest burden emerges from the stressors related to restricted social contact.

83 percent of the subjects meet the criteria for high risk of adaptation disorder which was positively correlated with sleep difficulties. Specifically, 55 percent of adaptation disorder high risk subjects suffer from insomnia or increased sleepiness. The hypothesis that adaptation disorder high risk prevalence rates higher in physical health care than in mental health care personnel was not confirmed which might be partially caused by small sample of medical personnel in the current study. The study data confirms the hypothesis that health care workers use coping strategies associated with better health outcomes more frequently.

Keywords: stress, adjustment, coping, COVID-19, health workers, online-study, Pandemic specific stressors, helping professionals, adjustment disorder, coping strategies, mental health

მადლობა

კვლევის განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - ნინო მახაშვილს გაწეული შრომისა და სასარგებლო რეკომენდაციებისათვის.

ასევე უღრმესი მადლობა კვლევის რესპონდენტებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ონლაინ კითხვარის შევსებაში, მათი გულისხმიერი დამოკიდებულებისა და ნდობისათვის და ქალბატონ მაია ჯინჭარაძეს მონაცემების დამუშავებისას გაწეული დახმარებისათვის.